



“**ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ**”
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ზაზა შვეთლაძე

„--24--“-----07-----“ 2017 წელი

ეგზ. N2

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ
პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს
ფინანსური აუდიტის ანგარიში N 37/36

2016 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისთვის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის
ანგარიში

სარჩევი

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	5
1. არაფინანსური აქტივები	5
2. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	8
3. ხარჯები.....	8
4. მასშტაბის შეზღუდვა	10
მნიშვნელოვან გარემოებათა აბზაცი	11
1. აღრიცხვა - ანგარიშგება.....	11
2. ბიუჯეტის შედგენა-შესრულების მდგომარეობა	11
3. შრომის ანაზღაურება.....	13
4. შესყიდვები	14
5. კონტროლის სისტემა	18

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტიური თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს¹ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორის პასუხისმგებლობაში შედის, რომ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის

¹ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება. დანართები 1-დან 11-მდე.

შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1. არაფინანსური აქტივები

გარემოება 1 N2111 („საცხოვრებელი შენობები“) საბალანსე ანგარიშის საბოლოო ნაშთში ასახულია 46 229. 6 ათას ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივი საცხოვრებელი სახლების სახით, რომელებიც ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემულია და საკუთრების უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია დევნილ და ეკომიგრანტ ბენეფიციარებზე.

მომზადების და წარდგენის შესაბამისობის საფუძვლების მოთხოვნა: „არაფინანსური აქტივებით ოპერაციები აღრიცხვაში აისახება მაშინ, როდესაც ხდება არაფინანსურ აქტივებზე საკუთრების უფლების მოპოვება ან დათმობა“.²

გარემოება 2:

- საბალანსე ანგარიშზე N2122 („სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარი“) ძირითად აქტივებად აღიარებულია 4 808 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების მქონე ისეთი აქტივები, რომელებიც შეძენილია 2008 წლის შემდგომ პერიოდში და ერთეულის ისტორიული ღირებულება 500 ლარზე ნაკლებია; ამავე საბალანსე ანგარიშზე ასახულია 4 341 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე სრულად ამორტიზირებული აქტივები; ასევე საწყის და საბოლოო ნაშთებში ასახულია 641 ლარის ღირებულების 13 დასახელების აქტივი, რომელიც შეძენილია 2007 წლის 31 დეკემბრამდე და ერთეული ღირებულება 150 ლარზე ნაკლებია;
- საბალანსე ანგარიშზე N2200 („გრძელვადიან მცირეფასიანი აქტივები“) ასახულია 4 ერთეული 3 609 ლარის თავდაპირველი ღირებულების მქონე ფასეულობები (ტუმბოები, პრინტერი და აბრა), რომელთა ერთეულის ღირებულება 500 ლარზე მეტია;

მომზადების და წარდგენის შესაბამისობის საფუძვლების მოთხოვნა: „ძირითადი აქტივი წარმოადგენს წარმოებულ აქტივს, რომლის გამოყენება წარმოებისა და მომსახურების

² .საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წ. 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის 45-ე მუხლი (პუნქტი 1),

პროცესში ხდება ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ, ღირებულება 500 ლარი და მეტია და აკმაყოფილებს აქტივად აღიარებისათვის ამ ინსტრუქციით განსაზღვრულ მოთხოვნებს³.

გარემოება 3: ძირითადი აქტივების და ვალდებულებების საბალანსე ანგარიშის (N2111) საწყის ნაშთში არ არის ასახული 2015 წლის განმავლობაში ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკური პირებისაგან 187 437 ლარის საცხოვრებელი სახლების შეძენის ოპერაცია. ანგარიშწორება და აღრიცხვაში ასახვა განხორციელებულია 2016 წლის დაწყისში საბიუჯეტო კლასიფიკაციის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ (31.1.1.1) კოდიდან.

დასახელება	თანხა
ფ/პ ხათუნა მიქელაძე	37,533.60
ფ/პ ლუდმილა გვაგვალია	37,475.88
ფ/პ თეა ფირცხალაიშვილი	37,475.88
ფ/პ სოსო ჩხაიძე	37,475.88
ფ/პ ზურაბ გოგელია	37,475.88
სულ	187,437.12

მოცემული საბალანსე ანგარიშის საბოლოო ნაშთში არ არის ასახული 2016 წლის განმავლობაში იურიდიული პირებისაგან 3 632 311 ღირებულების საცხოვრებელი ბინების შეძენის ოპერაცია. ანგარიშწორება და აღრიცხვაში ასახვა განხორციელებულია 2017 წლის დასაწყისში საბიუჯეტო კლასიფიკაციის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ (31.1.1.1) კოდიდან .

დასახელება	თანხა
სს სს Hualing international special economic zone	2,341,750.00
შპს შპს ლიტ ჯეო ინვესტი	1,290,561.24
სულ	3,632,311.24

მომზადების და წარდგენის შესაბამისობის საფუძველების მოთხოვნა: არაფინანსური აქტივებით ოპერაციები აღრიცხვაში აისახება მაშინ, როდესაც ხდება არაფინანსურ აქტივებზე საკუთრების უფლების მოპოვება ან დათმობა. ე.ი. არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ასახვა წარმოებს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა გადახდილი/მიღებული ფულადი სახსრები ან მოხდება თუ არა მომავალში

³. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წ. 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის 43-ე მუხლი (პუნქტი 4),

გადახდა/მიღება⁴. ფინანსური ვალდებულება წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებას ფულის ან ნებისმიერი სხვა ფინანსური აქტივების გადახდაზე⁵. მოწოდებიდან და მომსახურებიდან ვალდებულების წარმოშობისას დებეტდება ხარჯების ან არაფინანსური და ფინანსური აქტივების შესაბამისი ანგარიში და კრედიტდება შესაბამისი ვალდებულების ანგარიში⁶.

გარემოება 4 ფინანსური ანგარიშგების დანართი 1-ის მიხედვით საცნობარო მუხლის 02 ანგარიშზე („პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები“) წლის ბოლოს ირიცხება 3160 ლარის ნაშთი (საწყისი ნაშთი იყო 53 335 ლარი, ნაწილი ჩამოიწერა შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე), მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული წარმოადგენს 2008 წლის ომის შედეგად დევნილი მოსახლეობისთვის შესყიდულ და გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებს, საიდანაც ნაწილი, გამოყენებისათვის უვარგისობის გამო ყოველგვარი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის გარეშე დაუბრუნდა სამინისტროს.

მომზადების და წარდგენის შესაბამისობის საფუძვლების მოთხოვნა: პასუხსაგებ შენახვაზე მიღებულ მატერიალურ მარაგებზე დგება ცალკე საინვენტარიზაციო აღწერილობა, სადაც ჩანაწერების შეტანის საფუძველია დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ მატერიალური მარაგების გადაცემას საპასუხისმგებლო შესანახად. ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი მატერიალურ ფასეულობათა ზედმეტობით, ორგანიზაციაში იზრდება წმინდა ღირებულება როგორც სხვა ეკონომიკური ნაკადი⁷.

გავლენა: ფინანსური ანგარიშგების არაფინანსური აქტივების მუხლის საწყისი ნაშთი შემცირებულია 185.6 ათასი, ხოლო საბოლოო ნაშთი გაზრდილია ჯამში 42 636.2 ათასი ლარით (ფორმა 1. დანართი 1 და 5), ხოლო მათზე დარიცხული/დაურიცხავი ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა) ხარჯი გაზრდილია ჯამში 387.2 ათასი ლარით, შესაბამისად შემცირებულია წმინდა ღირებულების საბოლოო ნაშთი (ფორმა 1 და 2. დანართი 1, 2 და 5).

⁴ .საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წ. 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის მე-3 მუხლი (პუნქტი 1 „თ“ ქვეპუნქტი).

⁵ .საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წ. 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის 29-ე მუხლი (პუნქტი 1),

⁶ .საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წ. 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის 30-ე მუხლი (პუნქტი 12),

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N 605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის მე-10 მუხლი (პუნქტი 6,7) და მე-15 მუხლი (პუნქტი 4)

2. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

გარემოება: საბალანსე ანგარიშზე N 1354 „მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით“, ასახულია მოთხოვნა „სს საქართველოს საფოსტო ბანკი-ს“ მიმართ 472 961 ლარის ოდენობით, რომლის აღიარების საფუძველს წარმოადგენდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე N38/52-06). მოცემული მოთხოვნის მიხედვით სააღსრულებო წარმოება დაწყებულია 2012 წლის 7 დეკემბერს გაცემული #3852-06 სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 24 დეკემბრის N29744/01 წერილით მოცემული სააღსრულებო წარმოება შეწყვეტილია, რის საფუძველადაც მითითებულია ეროვნული ბანკის 2011 წლის 31 მაისის N494 განკარგულება, რომლის თანახმადაც სს „საქართველოს საფოსტო ბანკი“ გამოცხადდა გაკოტრებულად და დასრულდა მისი ლიკვიდაციის პროცესი. სს „საქართველოს საფოსტო ბანკი“-ს სამართალმემკვიდრე არ ჰყავს. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, „აღსრულება წყდება: თუ განხორციელდა იურიდიული პირის (კრედიტორის ან მოვალის) ლიკვიდაცია და სასამართლოს მიერ განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობებით უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია ან არ არსებობს უფლებამონაცვლე“.

მომზადების და წარდგენის შესაბამისობის საფუძვლების მოთხოვნა: დებიტორის გაკოტრების შემთხვევაში ან დებიტორული დავალიანებების თანხები, რომლებზედაც მიების ხანდაზმულობის ვადა გასულია, რომელთა ამოღებაზეც სასამართლომ უარი განაცხადა ან რომელთა ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, სახელმწიფო ერთეულებმა შეიძლება ჩამოწერონ არასაოპერაციო ხარჯების ანგარიშზე (8200) ასახვით. ამავე დროს, უიმედო დებიტორული დავალიანების თანხები აიღება საცნობარო მუხლში – გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება – 03⁸.

გავლენა: მოკლევადიანი აქტივების (ფორმა 1) ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების მუხლი N1354 ანგარიშის (დანართი 1) საწყისი და საბოლოო ნაშთები გაზრდილია 473.0 ათასი ლარით, შესაბამისად გაზრდილია დებიტორული დავალიანება (დანართი 9, 11). აღნიშნული თანხით გაზრდილია წმინდა ღირებულა (ფორმა 1 და 4. დანართი 1 და 6).

3. ხარჯები

გარემოება: 2015-2016 წლების განმავლობაში ბენეფიციართათვის, მათ მიერ მოძიებული საცხოვრებელი სახლის შესყიდვის მიზნით, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნის საფუძველზე, ფორმდება უძრავი ქონების ნასყიდობის სამმხრივი ხელშეკრულება (სამინისტრო, ქონების გამყიდველი და მყიდველი (ბენეფიციარი)). მოცემული ხელშეკრულებების საფუძველზე, ამავე პერიოდებში, საკუთრების უფლება საჯარო რეესტრის მონაცემებით დარეგისტრირებულია დევნილ ან

⁸ .საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წ. 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის 27-ე მუხლი (პუნქტი 31),

ეკომიგრანტ ბენეფიციარზე. აღნიშნული ხარჯები გაწეულია „სოფლად სახლის“ პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო კლასიფიკაციის “სხვა კაპიტალური ხარჯების“ კოდიდან. 2015 წლის განმავლობაში განხორციელებულმა ხარჯვითი ოპერაციის მოცულობამ შეადგინა **204 500** ლარი, რომელიც არ არის ასახული წმინდა ღირებულების საწყის ნაშთში და მიკუთვნებულია 2016 წელში საანგარიშგებო პერიოდს.

დასახელება	თანხა	კოდი
მედიკო შულაია	21,000.00	2.8.2.2
ნუგზარი ჩვამანია	21,000.00	2.8.2.2
ლეილა მესხი	21,000.00	2.8.2.2
ნინო გურგენაძე	21,000.00	2.8.2.2
ფ/პ კორნელი კუპრეიშვილი	21,000.00	2.8.2.2
სოფია არჯევანიძე	21,000.00	2.8.2.2
ფ/პ კობა ჩოხელი	17,000.00	2.8.2.2
ი/მ ამირანი ხორავა	17,000.00	2.8.2.2
მთვარისა გაბელია	17,000.00	2.8.2.2
დარეჯან კვარაცხელია	14,400.00	2.8.2.2
ლალი საბანიძე	13,100.00	2.8.2.2
სულ კოდზე:	204,500.00	

2016 წლის განმავლობაში ამ სახის ხარჯვითი ოპერაციების მოცულობამ შეადგინა **296 929** ლარი, რომელიც არ არის ასახული წმინდა ღირებულების საბალანსე ანგარიშის საბოლოო ნაშთში და მიკუთვნებულია 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდს.

დასახელება	თანხა	კოდი
შპს შპს სახლი დიღომში	112,992.26	2.8.2.2
ი/მ კახა დათაშვილი	100,368.01	2.8.2.2
შპს, შპს სოკარ ჯორჯია გაზი	57,600.00	2.8.2.2
შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისი"	18,600.00	2.8.2.2
შპს შპს იო	2,907.00	2.8.2.2
შპს შპს NEW GEORGIA	2,713.07	2.8.2.2
შპს „ელიტა“	522.59	2.8.2.2
შპს, შპს ჯეოგლობალი	309.00	2.8.2.2
შპს შპს აიდიო	268.25	2.8.2.2
შპს შპს კოპი რუმი	649.00	2.2.3.4.5
სულ კოდზე:	296,929.18	

მომზადების და წარდგენის შესაბამისობის საფუძვლების მოთხოვნა: ხარჯვითი ოპერაციის აღრიცხვაში ასახვის დრო დარიცხვის მეთოდით განისაზღვრება, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე, მიუხედავად იმისა, არის

თუ არა გადახდილი/მიღებული ფულადი სახსრები ან მოხდება თუ არა მომავალში გადახდა/მიღება. მოწოდებიდან და მომსახურებიდან ვალდებულების წარმოშობისას დებეტდება ხარჯების ან არაფინანსური და ფინანსური აქტივების შესაბამისი ანგარიში და კრედიტდება შესაბამისი ვალდებულების ანგარიში.

გავლენა: საანგარიშო წლის წმინდა ღირებულების საწყისი ნაშთი გაზრდილია 204 500 ლარით. ფაქტობრივი ხარჯები შემცირებულია 93 078 ლარით, შესაბამისად გაზრდილია წმინდა ღირებულების საბოლოო ნაშთი (ფორმა 1 და 2. დანართი 1 და 2). ვალდებულების საწყისი და საბოლოო ნაშთები შემცირებულია შესაბამისად 204 500 და 296 929 ლარით. შემცირებულია კრედიტორული დავალიანება (ფორმა 1. დანართი 1, 10 და 12)

4. მასშტაბის შეზღუდვა

- ძირითადი აქტივების საბალანსე ანგარიშის (N2111) საბოლოო ნაშთში ასახული **213.4** ათასი ლარის ღირებულების საცხოვრებელი სახლების მესაკუთრე (სახელმწიფო თუ კერძო საკუთრება) დაუდგენელია. აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სამინისტროში არაა ჩატარებული უძრავი ქონების ინვენტარიზაცია⁹ (რომლის ჩატარებაც სავალდებულოა ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მაინც).
- სამინისტროს აპარატს ბალანსის N3286 ანგარიშზე („სხვა დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები“) წლის ბოლოს ერიცხება 4 604.9 ათასი ლარის ვალდებულება, საიდანაც **4 021.7** ათასი ლარი წარმოადგენს 1999-2005 წლებში „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლით წარმოქმნილ კრედიტორულ დავალიანებას, რომელთა მიხედვით არ ხდება წარმოშობის პერიოდის, ცალკეული კრედიტორების, ასევე გაწეული მომსახურებისა და მოწოდებული საქონლის იდენტიფიცირება.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აზრად აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავს სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

⁹ დარღვეულია საქ. ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნა.

მნიშვნელოვან გარემოებათა აბზაცი

1. აღრიცხვა - ანგარიშგება

- სამინისტროს მიერ, მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის (არსებობის), სიზუსტის და სისრულის დაგენის მიზნით არ არის განხორციელებული არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო ინვენტარიზაცია.
- არასამუშაო საათებში და დასვენების დღეებში სამსახურებრივი მოვალეობის პირნათლად და კეთილსინდისიერად მუშაობისათვის სამინისტროს აპარატის თანმშრომლებზე და შტატგარეშე მომუშავეებზე გაცემულია დამატებითი შრომის ანაზღაურება 43 980 ლარი. აღნიშნული ნაცვლად „დანამატისა“ კლასიფიცირებულია როგორც „პრემია“ .

2. ბიუჯეტის შედგენა-შესრულების მდგომარეობა

2.1. ხარჯთაღრიცხვის ცვლილებები

წლის განმავლობაში პროგრამებს შორის ცვლილებების მოცულობამ სულ შეადგინა 788.0 ათასი ლარი, რაც წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების 1%-ია, შესაბამისად დაცულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა. სულ პროგრამებს, ქვეპროგრამებს და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელდა 25 ცვლილება 7 718.6 ათასი ლარის ოდენობით.

გადანაწილების სახე	ცვლილებების რაოდენობა	თანხა	ცვლილებების წილი ასიგნების მთლიან მოცულობაში
პროგრამებს შორის	7	788 000	1
ქვეპროგრამებს შორის	13	1 055 633	1
საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის	5	5 874 997	7
სულ	25	7 718 630	9

პროგრამებს შორის ასიგნების გადანაწილება ძირითადად განხორციელებულია „განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების“ პროგრამიდან (კოდი 34 02). კერძოდ, მოცემული პროგრამის „იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების, სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნის“ ქვეპროგრამის (კოდი 34 02 01) „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან 498.8 ათასი ლარი მიიმართა „იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვის“ პროგრამაზე (კოდი 34 01), სამინისტროს აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლების მატერიალური წახალისების, ორსულობასთან, მშობიარობასთან და ბავშვის მოვლასთან კანონმდებლობით დაწესებული დახმარების გაცემის უზრუნველყოფის, ასევე შენობის სათანადო აღჭურვისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით.

„დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის“ პროგრამის (კოდი 34 03) ასიგნებებიდან (437.0 ათასი ლარი) 207.6 ათასი ლარი, დაახლოებით 50%, მიიმართა „იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების, სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნის“ ქვეპროგრამაზე (კოდი 34 02 01), დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მდებარე შენობების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მომსახურების, დევნილთათვის საცხოვრებელი სახლების შესყიდვის, დევნილთა ოჯახების სოციალური და ფულადი დახმარების გაწევის მიზნით და საცხოვრებელი ფართების დაქირავებისათვის. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცვლილება განხორციელდა 25 ნოემბრის N1316 ხარჯთაღრიცხვის ცნობით, როცა ამავე კოდიდან (34 02 01) 25 ოქტომბრის N1210 ხარჯთაღრიცხვის ცნობის მიხედვით 337.2 ათასი ლარი მიიმართა „იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვის“ პროგრამაზე (კოდი 34 01), სამინისტროს თანამშრომელთა მატერიალური წახალისების მიზნით.

სულ სხვადასხვა პროგრამული/ქვეპროგრამული კოდებიდან (34 02 01, 34 01 02 04) სამინისტროს თანამშრომელთა მატერიალური წახალისების მიზნით „შრომის ანაზღაურების“ მუხლში მიმართულია 467,1 ათასი ლარი (ცნობები N618, N1011 და N1210).

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის. ცვლილების ძირითადი ნაწილი განხორციელდა შემდეგი ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობებით:

- „იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების, სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნის“ პროგრამის (34 02 01) „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან 5 530 ათასი ლარი (ცნობები: N925; N1217; N1316; N1363) მიიმართა „სხვა ხარჯების“ მუხლში, თბილისსა და სხვა რეგიონებში მდებარე შენობების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მომსახურებისა და დევნილთათვის საცხოვრებელი სახლების შესყიდვისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით.

- „იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების, სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნის“ ქვეპროგრამის (34 02 01) „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან 280.0 ათასი ლარი მიიძარტა „სხვა ხარჯების“ მუხლში, დევნილთა ოჯახების სოციალური და ფულადი დახმარების გაწევის მიზნით საცხოვრებელი ფართების დაქირავებისათვის (ცნობა N1316);
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების, სოციალური და საცხოვრებელი პირობების შექმნის“ ქვეპროგრამის (კოდი 34 02 01) „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან 250.0 ათასი ლარი - მიიძარტა „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში, საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით დევნილთა ოჯახების ფულადი დახმარების გასაწევად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით (ცნობა N1217).

აღნიშნული ცვლილებები მიუთითებს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში არსებულ ხარვეზებზე.

2.2 პროგრამული ბიუჯეტირება

პროგრამა „იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამული მართვა“ (კოდი 34 01) მოიცავს ქვეპროგრამებს: „მიგრანტთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მიგრაციის მართვა“ (კოდი 34 01 03), „ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მამიებელთა შენახვის ხარჯები“ (კოდი 34 01 03 01), სარეინტეგრაციო დახმარება საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტებისთვის“ (კოდი 34 01 03 02), „ეკომიგრანტთა მიგრაციის მართვა“ (კოდი 34 01 04), „ეკომიგრანტთათვის საცხოვრებელი პირობების შექმნა“ (კოდ 34 01 04 01) და „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის მიზნით მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება“ (კოდი 34 01 04 02), რომლებიც პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის¹⁰ მიხედვით არ არის გაწერილი დასაგეგმი წლის მასშტაბით, არა აქვს კონკრეტული მოსალოდნელი შედეგები, რისი მიღწევაც შესაძლებელი იქნებოდა ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში, ანუ სამიზნე მაჩვენებლები არ აღნიშნავს კონკრეტული აქტივობების შედეგად მისაღებ გაზომვად პროდუქტს, სადაც ნაჩვენები იქნებოდა საბაზისო და მიზნობრივი რაოდენობრივი მაჩვენებლები, ისე როგორც 34 02 და 34 03 პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებები მოიცავს საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორებს¹¹ (თუმცა პროგრამული ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოიცავს გარკვეული რაოდენობრივ მაჩვენებლებს 34 01 კოდის ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ფაქტიური აქტივობების მიხედვით).

3. შრომის ანაზღაურება

სამინისტროს „შრომის ანაზღაურების“ მუხლის დამტკიცებულმა გეგმამ 4 485.0 ათასი, დაზუსტებულმა 4 808.7 ათასი, ხოლო საკასო ხარჯმა კი 4 808. 1 ათასი ლარი შეადგინა.

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანება

¹¹ სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები.

„შრომის ანაზღაურების“ ხარჯმა 2016 წლის განმავლობაში სულ 5 702.5 ათასი ლარი შეადგინა, აქედან შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეულია 4 808. 1 ათასი ლარის ხარჯი, მთლიანი ხარჯის (84%), მათ შორის: თანამდებობრივი სარგო - 3 485. 7 ათასი ლარი (72%), პრემია - 363.0 ათასი ლარი (8%), დანამატი - 959.4 ათასი ლარი (20%). შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლით გაწეულმა ხარჯმა, 894.4 ათასი ლარი, მთლიანი ხარჯის (16%) შეადგინა, მათ შორის: თანამდებობრივმა სარგომ - 796.6 ათასი ლარი (89%), პრემიამ - 97.2 ათასი ლარი (10.9%), დანამატმა - 575 ლარი (0,1%).

სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეებს ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის საფუძველზე 2016 წლის განმავლობაში მიღებული აქვთ ყოველთვიური დანამატი. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით¹² დანამატი არის არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებითი საზღაური და კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა დანამატი. აუდიტის ობიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი არასამუშაო/ ზეგანაკვეთური საათების შესრულების დოკუმენტური (ტაბელი ან აღრიცხვის ჟურნალი) ანდა ელექტრონული ფორმით შექმნილი მტკიცებულება.

სამინისტროს სისტემაში დასაქმებული შტატგარეშე თანამშრომელთა უმრავლესობა მუდმივად განსაზღვრული სახის სამუშაოს ასრულებს. შტატგარეშე მოსამსახურის ცნება განსაზღვრულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით „შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად“¹³. შტატგარეშე მოსამსახურის დეფინიციის სამართლებრივი ბუნება შრომითი ურთიერთობის ორი სპეციფიკური პირობის ერთდროულად არსებობაზე მიუთითებს: 1) შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი რომელიც გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში. ანუ ამ შემთხვევაში სამსახურში მიღების ვადა განსაზღვრულია და 2) სამსახურში მისი მიღების მიზანს წარმოადგენს არამუდმივი, განსაზღვრული დროის განმავლობაში კონკრეტული ამოცანის (სამუშაოს) შესრულება.

4. შესყიდვები

2016 წლის განმავლობაში სამინისტრომ სულ გააფორმა 327 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომლის საერთო ღირებულებამ შეადგინა 28 804.2 ათასი ლარი. მათ შორის გამარტივებული წესით 213- ხელშეკრულება - ღირებულებით 788.8 ათასი ლარი, რომელიც ჯამური სახელშეკრულებო ღირებულების 2.7% -ა.

12. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს № 672 ბრძანება საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია - ბიუჯეტის ხარჯების ფინანსური ოპერაციების დაჯგუფება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით

¹³ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლი

ხელშეკრულების საფუძველი (შესყიდვის საშუალება)	რაოდენობა	ღირებულება
ტენდერი	70	27,360,751
კონსოლიდირებული ტენდერი	31	412,711
გამარტივებული წესით	213	781,013
კონკურსი	13	249,735
სულ	327	28,804,210

ინფორმაცია ელექტრონული ტენდერების შესახებ

ტენდერები	რაოდენობა
გამოცხადებული	81
წარმატებით დასრულებული	70
არშემდგარი	7
შეწყვეტილი	4
უარყოფითი შედეგით დასრულებული	0

სამინისტროს მიერ ადგილი არ ქონია არშემდგარი და შეწყვეტილი ტენდერების შემდეგ გამარტივებული წესით ხელშეკრულებების გაფორმებას, ყველა შემთხვევაში შესყიდვები განხორციელდა განმეორებითი ტენდერების საშუალებით. გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით განხორციელებულია მხოლოდ ერთი შესყიდვა 18.5 ათასი ლარის ღირებულებით. კერძოდ, სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული სამი ოთახის (N536; N 406; N 407) სარემონტო სამუშაოების შესყიდვა.

4.1 სატენდერო დოკუმენტაციის ხარვეზები

სამინისტროს მიერ 2016 წელს გამოცხადდა 4 ელექტრონული ტენდერი¹⁴ პრეისკურანტით, ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვაზე. ტექნიკური დავალების შესაბამისად გასაწევი მომსახურება ითვალისწინებდა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არსებული დევენილთა განსახლების ობიექტებში შემდეგი სახის მომსახურების გაწევას:

¹⁴ **SPA160018721; SPA160002699; SPA160002698; SPA160002696**

- ✓ წყლის მიღებისა და თანმდევი კვანძების შეცვლას;
- ✓ კანალიზაციის მიღებისა და თანმდევი კვანძების შეცვლას, ჭების გაწმენდა/შეცვლას, დატბორილი სარდაფების ამოტუმბვას და სხვა სანტექნიკურ სამუშაოებს.

ზემოაღნიშნული ოთხი ტენდერიდან კონკურენცია გვხვდება ბოლო ტენდერში, სადაც მონაწილეობდა ორი პრეტენდენტი. დანარჩენ ტენდერებში ორ შემთხვევაში სავარაუდო ღირებულების იდენტური და ერთ შემთხვევაში სავარაუდოსთან მიახლოებული სატენდერო წინადადების ფასით კონკურენციის გარეშე გაიმარჯვა ერთადერთმა პრეტენდენტმა შპს "ჯეოონო"-მ - ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებით 250.0 ათასი ლარი.

სატენდერო დოკუმენტაცია შეიცავს შემდეგი სახის ხარვეზებს:

ტექნიკური დავალების შესაბამისად მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის სიტყვიერი (ზეპირი) მოთხოვნიდან არაუგვიანეს ერთ საათში გამოცხადდეს ადგილზე. მომსახურების საჭიროების ფაქტის დადგომის და მასზე რეაგირების პროცესის შესწავლით არ დასტურდება არსებული მოთხოვნის აუციებლობა, შებამისად სახელშეკრულებლო პერიოდში არ ფიქსირდება მოცემული მოთხოვნის რეალიზაციის კონკრეტული ფაქტი. თითოეულ ტენდერში მომსახურების მიწოდების ადგილად მითითებულია რამოდენიმე ქალაქი¹⁵ და ამ ქალაქებიდან 30 კმ-ის რადიუსში მდებარე დევნილთა განსახლების ობიექტები. წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციით არ არის განსაზღვრული თითოეულ ქალაქში თუ განსახლების ობიექტში მდებარე შენობა-ნაგებობის რაოდენობა და მომსახურების მიწოდების ზუსტი ადგილმდებარეობა. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია მიმწოდებელმა განსაზღვროს თუ რამდენ ობიექტზე უნდა განახორციელოს მომსახურების მიწოდება და რა რესურსი (ადამიანური, მატერიალური) დაჭირდება თითოეულ ქალაქში თუ განსახლების ობიექტში მომსახურების დროულად და ეფექტურად განსახორციელებლად. სატენდერო დოკუმენტაციით მოცემული არარეალური ტექნიკური მოთხოვნის და მომსახურებას დაქვებდებარებული ობიექტების ბუნდოვანი, ზოგადი ფორმულირება, შეიცავს პოტენციური მიმწოდებლების მხრიდან სატენდერო პროცედურებში მონაწილეობისგან თავის შეკავების რისკებს.

4.2 ხელშეკრულების პირობების შესრულების მდგომარეობა

სამინისტრო, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 28 ნოემბრის N638 -ე დადგენილებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით კერძო პირ(ებ)ისაგან საცხოვრებელი ფართ(ებ)ის შესყიდვის პროგრამის“ შესაბამისად, ახორციელებს იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის მიზნით, მენაშენებისგან საცხოვრებელი ფართ(ებ)ის შესყიდვას კონკურსის საშუალებით. პროგრამის მიზანს წარმოადგენდა იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფა და ამავე დროს შეჩერებული სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება, მენაშენთა მხარდაჭერა და ბინათმშენებლობის პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა.

¹⁵ მაგ. ქ. ბათუმში, ქ. ზუგდიდში, ქ. სამტრედიისში, ქ. ქუთაისში და ამ ქალაქებიდან 30 კმ-ის რადიუსში მდებარე დევნილთა განსახლების ობიექტები.

საკონკურსო პირობების თანახმად, საცხოვრებელი ფართების ჩაბარების ბოლო ვადად განსაზღვრული იყო 2016 წლის 1 ოქტომბერი.

შესწავლილ იქნა როგორც ზემოთაღნიშნული პროგრამის, ასევე სამინისტროს მიერ ბინათმშენებლობის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები. დადგინდა, რომ სისტემური სახე აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადის გაგრძელებას 15 დან 175 დღემდე, საფუძვლად წარმოდგენილია მეტეოროლოგიური პირობების გაუარესება და სხვადასხვა ტექნიკური პრობლემები, რომლებიც აუდიტის ჯგუფის აზრით არ იძლეოდა საკმარის საფუძველს ვადის გასაგრძელებლად

4.3 ნებართვის გარეშე დაწყებული სამშენებლო სამუშაოები.

მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია მშენებლობის ნებართვა (განსაკუთრებული იერარქიის ნებართვა), რომელიც მოიცავს 3 სტადიას - მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას. ამასთან, მშენებლობის ნებართვის ვადის დინება იწყება მშენებლობის ორგანიზების პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დაწყების დღეს.¹⁶ რიგ შემთხვევაში სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე ხელშეკრულებები გაფორმებულია და შეასაბამისად სამშენებლო სამუშაოები დაწყებულია სსსიპ - „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ მიერ მშენებლობის ნებართვების გაცემამდე, კერძოდ:

- ქ. ქუთაისში შერვაშიძის ქ. N53-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ N03.01.22.013, ფართი 27620 კვ.მ) დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისათვის საცხოვრებელი კომპლექსის მე-3 და მე-4 კორპუსების, 2 თექვსმეტსართულიანი კორპუსის მშენებლობისა და გარე ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 9 მარტს, ღირებულებით 6 967 777 ლარი, სადაც სამუშაოს შესრულების ვადად განისაზღვრა 09.03.2015-30.08.2016 წწ. აღნიშნულ ობიექტზე მშენებლობის თანხმობა გაცემულია სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ მიერ 2015 წლის 21 დეკემბერს, მშენებლობის დაწყებიდან დაახლოებით 10 თვის შემდეგ.
- ქ. ზუგდიდში ბარამიას ქ. N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ N43.36.09.128, N43.31.76.213; N43.31.76.212, საერთო ფართი 35 305 კვ.მ.) დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისათვის საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით ორი ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის 8 ივნისსა (სადაც სამუშაოს შესრულების ვადად განისაზღვრა 08.06.2015 - 29.11.2016 წწ.) და 2016 წლის 14 აპრილს (სადაც სამუშაოს შესრულების ვადად განისაზღვრა 14.04.2016 -06.10.2017 წწ.), ღირებულებით შესაბამისად 6 775 000 ლარი და 13 899 899 ლარი. აღნიშნულ ობიექტებზე მშენებლობის თანხმობა სსიპ

¹⁶ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მე-3 მუხლის 43-ე პუნქტი; 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; 56-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

„ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს“ მიერ გაცემულია 2016 წლის 31 აგვისტოს, პირველი ხელშეკრულების გაფორმებიდან დაახლოებით 15 თვის, ხოლო მეორე ხელშეკრულების გაფორმებიდან დაახლოებით 4 თვის შემდეგ.

5. კონტროლის სისუსტე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წ. 31 დეკემბრის N429 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის მე-12 მუხლის მოთხოვნების თანახმად, სამინისტროს არა აქვს შემუშავებული შიდა სააღრიცხვო პოლიტიკა, რაც გულისხმობს ობიექტის მიერ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვით ქვეყნის გარეთ მივლინებებთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხვა-ანგარიშგებისათვის ერთიანი მეთოდოლოგიის დაცვით შიდა მეთოდური მითითებების და წესების შემუშავებას, ერთგვაროვანი და უნიფიცირებული პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების ჩამონათვალის მოთხოვნას, რომელსაც ობიექტი უცვლელად გამოიყენებს მთელი საანგარიშო წლის განმავლობაში. საფინანსო სამსახური სამივლინებო თანხების ასანაზღაურებლად იყენებს არაერთგვაროვან მიდგომებს. კერძოდ ძირითადად ხელმძღვანელობს მინისტრის შესაბამისი ბრძანებით, ხოლო რიგ შემთხვევაში კი სხვადასხვა პირველადი დოკუმენტებით (მივლინებული პირის პასპორტში დაფიქსირებული შტამპი, ე.წ. „ჩასხდომის ბარათი“, მოსაწვევ წერილზე თანდართული დღის განრიგი). ამასთან ერთად ორგანიზაციაში არ არსებობს ერთი სტრუქტურული ერთეული, რომელიც კოორდინაციასა და მონიტორინგს გაუწევდა სხვადასხვა ერთეულების მიერ განხორციელებული მივლინებებს. მივლინების ინიცირება ხორციელდება უშუალოდ მიწვეული თანამშრომლის მიერ წარდგენილი მოწვევის წერილის საფუძველზე, რომელთა უმრავლესობა ხარჯების ანაზღაურების კუთხით ატარებს ბუნდოვან ხასიათს, არაა მკვეთრად განსაზღვრული იმ ხარჯების ზუსტი ჩამონათვალი, რომელსაც ანაზღაურებს მომწვევი მხარე.

აუდიტორთა ხელმოწერა:


წამყვანი აუდიტორი

უფროსი აუდიტორი

აუდიტორი

აუდიტორი

აუდიტორ ასისტენტი



Handwritten signatures of the auditors in blue ink, corresponding to the names listed on the right.

ელგუჯა ბეროშვილი

ნაია ხოფერია

ნინო კუბლაშვილი

ზურაბ ზუმბაძე

გიორგი გოგოლიძე

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

	დასახელება	ანგარიში	2016 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)	2015 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
010	აქტივები			
020	მოკლევადიანი აქტივები			
030	ფულადი სახსრები	1100-1200	359,214	22,984
040	სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	4,790,747	6,142,729
050	სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	21,101,099	36,377,480
060	სხვა მატერიალური მარაგები	1620	72,788	32,635
070	სულ მოკლევადიანი აქტივები		26,323,849	42,575,827
080	გრძელვადიანი აქტივები			
090	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	-	-
100	სტრატეგიული მარაგები	1610	-	-
110	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	364,127	318,375
120	ძირითადი აქტივები	2100	120,435,996	57,312,527
130	ფასეულობები	2300	-	-
140	არაწარმოებული აქტივები	2400	33,000	33,000
150	სულ გრძელვადიანი აქტივები		120,833,123	57,663,902
160	ბალანსი		147,156,971	100,239,729
170	ვალდებულებები			
180	მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
190	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	-	-
200	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	4,651,676	10,322,945
210	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		4,651,676	10,322,945
220	გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	-	-
230	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
240	სულ ვალდებულებები		4,651,676	10,322,945
250	კაპიტალი			
260	აქტივების წმინდა ღირებულება	5100	142,504,743	89,916,784
270	გაუნაწილებელი მოგება	5220	553	-
280	დაუფარავი ზარალი	5230	-	-
290	სულ კაპიტალი		142,505,295	89,916,784
300	ბალანსი		147,156,971	100,239,729

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

თარიღი:

მთავარი ბუღალტერი:

თარიღი:

ბ.ა.

ფორმა N2
ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება		2016 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო)			2015 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
		ბიუჯეტი	ეკონომიური საქმიანობა	სულ	
010	ბიუჯეტიდან დაფინანსება	85,264,811		85,264,811	73,586,382
020	შემოსავლები (030+040+050+060)	4,991,294	8,920	5,000,214	5,170,038
030	გადასახადები			-	
040	სოციალური შენატანები			-	
050	გრანტები	2,448,446	8,920	2,457,366	570,495
060	სხვა შემოსავლები (070+080+090+100+110)	2,542,847	-	2,542,847	4,599,543
070	ა. ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები	-	-	-	
080	ბ. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	-	-	
090	გ. სანქციები, ჯარიმები, საურავები	2,542,834	-	2,542,834	4,595,927
100	დ. ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	-	-	-	
110	ე. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	14	-	14	3,616
120	სულ (010+020)	90,256,105	8,920	90,265,025	78,756,421
130	ხარჯები				
140	მომუშავეთა ანაზღაურება	4,806,896	3,788	4,810,684	4,629,542
150	საქონელი და მომსახურება	3,899,490	4,579	3,904,069	4,749,582
160	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	1,301,746	-	1,301,746	787,343
170	პროცენტი	-	-	-	
180	სუბსიდიები	-	-	-	
190	გრანტები	142,214	-	142,214	845,182
200	სოციალური უზრუნველყოფა	2,685,907	-	2,685,907	2,896,694
210	სხვა ხარჯები	26,548,262	-	26,548,262	27,107,826
220	სულ (140+150+160+170+180+190+200+210)	39,384,515	8,367	39,392,883	41,016,170
230	ფინანსური შედეგი (120-220)	50,871,589	553	50,872,142	37,740,251

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

თარიღი:

მთავარი ბუღალტერი:

თარიღი:

ბ.ა.

ფორმა N3					
ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში					
დასახელება		ხაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
010	წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	52,587,959	553		52,588,511
020	კორექტირებები: ¹	(5,489,346)	-	-	(5,489,346)
030	ცვლათა (+)	1,301,746	-		1,301,746
040	აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+) ²	(1,894,012)			(1,894,012)
050	მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(40,153)			(40,153)
060	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	(45,752)			(45,752)
070	დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	860,094			860,094
080	კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	(5,671,269)			(5,671,269)
090	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან ³	47,098,612	553	-	47,099,165
100	ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
110	არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
120	ძირითადი აქტივები				-
130	სტრატეგიული მარაგები				-
140	ფასეულობები				-
150	არაწარმოებული აქტივები				-
160	არაფინანსური აქტივების შესყიდვა	46,762,935	-	-	46,762,935
170	ძირითადი აქტივები	46,762,935	-		46,762,935
180	სტრატეგიული მარაგები	-	-		-
190	ფასეულობები	-	-		-
200	არაწარმოებული აქტივები	-	-		-
210	წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან ⁴	(46,762,935)	-	-	(46,762,935)
220	ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
230	წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	-			-
240	წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	-			-
250	წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან ⁵	-	-	-	-
260	ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება ⁶	335,678		-	335,678
270	ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	22,984			22,984
280	ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	358,109	553		358,662
290	ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)				-
300	დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)				-
ორგანიზაციის ხელმძღვანელი:			თარიღი:		
მთავარი ბუღალტერი:			თარიღი:		
ბ.ა.					

ფორმა N4

კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში

N	დასახელება	(საანგარიშო წელი)		
		ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ
010	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	89,916,784	-	89,916,784
020	არასაოპერაციო შემოსავლები (030+040)	5,687,030	-	5,687,030
030	კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი			-
040	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	5,687,030		5,687,030
050	არასაოპერაციო ხარჯები (060+070)	3,855,467	-	3,855,467
060	კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი			-
070	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	3,855,467		3,855,467
080	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები (090+100)	115,194	-	115,194
090	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	115,194		115,194
100	მოგების გადასახადი			-
110	საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	50,871,589	553	50,872,142
120	ნაშთი წლის ბოლოს (010+020-050-080+110)	142,504,742	553	142,505,295

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

თარიღი:

მთავარი ბუღალტერი:

თარიღი:

ბ.ა.

ფორმა N5								
ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიში								
დასახელება		ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის	საკასო ხარჯი	გადახრა % დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის
010	ხარჯები	32,431,000	37,800,617	0	38,488,238	0	39,384,515	896,277
020	მათ შორის:	-	-					
030	შრომის ანაზღაურება	4,485,000	4,808,672	0	4,808,141	(0)	4,806,896	(1,246)
040	არაფინანსური აქტივების ზრდა	52,569,000	46,668,945	(0)	46,762,935	0	46,762,935	-
050	ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	-	-	-	-	-
060	ვალდებულებების კლება	-	13,638	-	13,638	(0)	13,638	-
ორგანიზაციის ხელმძღვანელი:								

დანართი N 1 ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშებზე და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ ორგანიზაციის დასახელება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო პერიოდულობა: წლიური, კვარტალური 2016 წლის 31 დეკემბერი				
			3400	კოდი
			ზომის ერთეული: ლარი	
კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის (კვარტალის) ბოლოს 31.12.2016	ნაშთი წლის დასაწყისისთვის 01.01.2016
1	2	3	4	5
I.ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული საღაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული საღაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1211		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1212		
050	სხვა ანგარიშები ბანკში	1220		
060	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230	553	
070	ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	1240	358,662	22,984
080	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
090	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
100	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
110	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
120	გადასახადების სახაზინო ანგარიში	1291		
130	სხვადასხვა ანგარიშები ხაზინაში	1292		
140	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
150	მოკლევადიანი საბიუჯეტო სესხები	1321		
160	მოკლევადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით	1322		
170	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
180	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
190	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
200	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
210	დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
220	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354	4,789,616	6,141,931
230	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
240	სხვა საგადასახადო აქტივი	1358	495	397
250	საშემოსავლო გადასახადი	1361		
260	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360	636	400
270	ქონების გადასახადი	1363		
280	დამატებითი ღირებულების გადასახადი	1364		
290	აქციზის გადასახადი	1365		
300	იმპორტის გადასახადი	1366		
310	სხვა გადასახადები	1367		
320	გადახდილი სხვა გადასახადები	1368		
330	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1370		
340	მოთხოვნები ბარტერთ	1410		
350	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
360	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	3,896,149	3,418,545

370	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432	15,496,166	31,264,434
380	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440	381,065	363,979
390	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები ავანსად გაცემული თანხებით	1451		
400	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები სხვა თანხებით	1452		
410	მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით	1461	2,710	2,410
420	მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის გარეთ	1462	620	4,615
430	მომუშავეების მიმართ სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1463	1,310	510
440	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470	-	-
450	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480	1,323,079	1,322,988
460	გრძელვადიანი საბიუჯეტო სესხები	1511		
470	გრძელვადიანი სესხები არასაბიუჯეტო სახსრებით	1512		
480	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
490	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
500	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		
	სულ ფინანსური აქტივები და მოთხოვნები:		26,251,061	42,543,192
II. არაფინანსური აქტივები				
510	სტრატეგიული მარაგები	1610		
520	ნედლეული და მასალები	1621		
530	დაუმთავრებელი წარმოება/მომსახურება	1622		
540	მზა პროდუქცია	1623		
550	შემდგომი რეალიზაციისათვის შემენილი საქონელი	1624		
560	ფულადი დოკუმენტები	1625	5,327	7,031
570	სათადარიგო ნაწილები	1626	2,126	-
580	სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	1627	65,335	25,604
590	საცხოვრებელი შენობები	2111	91,984,983	48,961,597
600	არასაცხოვრებელი შენობები	2112	3,035,458	1,097,421
610	საგზაო მაგისტრალები	2113		
620	ქუჩები	2114		
630	გზები	2115		
640	ხიდები	2116		
650	გვირაბები	2117		
660	გაყვანილობის სისტემები	2118		
670	სხვა ნაგებობები	2119	-	346
680	სატრანსპორტო საშუალებები	2121	953,292	1,027,261
690	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2122	568,667	572,292
